- **რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით:** ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა,

საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- **რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით:** აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს-მოდელი - ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს-მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

SPPI ტესტი: ბიზნეს-მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივები რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში/სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში წარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს გაუფასურების რეზერვის ხარჯს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით წლის მოგება/ზარალში. გაუფასურების რეზერვის ხარჯი დამოკიდებულია კომპანიის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასების მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში როცა პირველადი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ზემოქმედების მნიშვნელოვანი ზრდა არ ყოფილა, შეფასებულია 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს წარმოადგენს აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც მიეკუთვნება ნაგულისხმევ მოვლენას, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში. როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდა ან თუ დადგინდა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის ანაზღაურება ხდება აქტივის სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. სავარაუდო საკრედიტო ზარალის ოდენობა იზომება ფასის სავარაუდო დეფიციტის სავარაუდო შენონილი ღირებულების საფუძველზე, რომელიც ფასდაკლებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებზეც სავალდებულოა შეფასებულ იქნას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში, ზარალის ანაზღაურება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში შესაბამისი ხარჯებით. ყველა სხვა შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის ხარჯი ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას შესაბამისი ხარჯით სრულ მოგება/ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

კომპანიამ გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, რომელიც იყენებს სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. სხვა მოთხოვნები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით, შემცირებული სავარაუდო საკრედიტო ზარალით.

აღიარების შეწყვეტა: ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდში, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებული და შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. ასეთი ვალდებულებები, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, შემდგომში უნდა შეფასდეს ერთეულის მიერ სამართლიანი ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან როდესაც გამოიყენება აქტივების შენარჩუნების მიდგომა;

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება.

წარმოდგენილ პერიოდებში კომპანიას არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული ფინანსური ვალდებულებები.

მიღებული სესხები

სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მნიშვნელოვანი დრო დანიშნულებისამებრ გამოყენების ან გასაყიდად მოსამზადებლად (კვალიფიცირებული აქტივები), კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი. ყველა სხვა სესხის აღების ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება. სესხის აღების ხარჯები შედგება პროცენტებისა და სხვა ხარჯებისგან, რომლებიც წარმოიქმნება ნასესხები სახსრებიდან. კომპანიას აქვს სესხები მისი მფლობელისგან ძირითადი საქმიანობის დასაფინანსებლად.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირე რისკს.

შემოსავლის აღიარება

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან

კომპანია შემოსავალს იღებს ელექტროენერგიის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროქსელის ოპერატორის - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტით.

გადასახადები

2016 წლის ივნისში შევიდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონში საშემოსავლო გადასახადის შესახებ. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი რეგულაციის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაეკისრება დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებაზე და არა მოქმედი რეგულაციის მიხედვით მიღებულ მოგებას. დივიდენდის განაწილებაზე გადასახდელი თანხა გამოითვლება წმინდა განაწილებული თანხის 15/85. კომპანიებს შეეძლება 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდის განაწილებიდან წარმოქმნილი საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება მოქმედი რეგულაციებით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სამართლაინ ღირებულებას შორის შემცირებული რეალიზაციის დანახარჯებით. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან. მარაგები აღირიცხება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოთავსებასთან.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორც ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი

გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში და განისაზღვრება მფლობელის გადაწყვეტილებით. იმ შემთხვევაში როდესაც კაპიტალში შეტანილია არაფულადი შენატანი სხვაობა მფლობელის მიერ დადგენილ კაპიტალის ოდენობასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

წარსადგენი ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო დაწარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი- საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომლის გამოყენებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.10	3.50

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს როგორც აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებზე პერიოდის ბოლოს, ასევე წლიურ შემოსავლებსა და ხარჯებზე.

მენეჯმენტი თავის შეფასებებსა და დაშვებებს აკეთებს ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით რომლებიც მიჩნეულია გონივრულად. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვების ან პირობების მიხედვით. კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი შეფასებები და დაშვებები:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - კომპანია აფასებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადებს სხვადასხვა ფაქტორებით, როგორიცაა ტექნიკური მახასიათებლები, კომერციული დანიშნულება, გამოყენების პერიოდი, მოცულობა და ფიზიკური მდგომარეობა.

ჰიდროელექტროსადგურების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გააფორმებული აღნაგობის ხელშეკრულებით, რომლის ვადაც შეადგენს აღნაგობის ხელშეკრულებების გაფორმებიდან 49 წელი. მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტი ცდილობს შეაფასოს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა ყველაზე ეფექტური გზით მაინც შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აქტივის გამოყენების უფლების და ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის დაშვებები - საიჯარო ხელშეკრულებებში არ იყო წარმოდგენილი საპროცენტო განაკვეთები. შესაბამისად, კომპანიამ ზღვრულ სასესხო განაკვეთად გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცხადებული სტატისტიკური ინფორმაცია თითოეული საიჯარო ხელშეკრულების თარიღისთვის.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	ჰიდროელექტრო სადგურები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	62,275	19,844,408	1,435,254	27,492,286	125,685	48,959,908
შესყიდვა	-	-	240,374	-	14,997	255,371
კაპიტალიზაცია	-	-	-	5,230,048	-	5,230,048
რეკლასიფიკაცია	-	29,838,315	-	(29,838,315)	-	-
ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი	62,275	49,682,723	1,675,628	2,884,019	140,682	54,445,327
შესყიდვა	-	-	155,035	-	179,068	334,103
ჩამოწერა	-	137,039	-	-	-	137,039
კაპიტალიზაცია	-	437,728	-	9,302,145	-	9,739,873
რეკლასიფიკაცია	-	(157,932)	-	-	157,932	-
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერი	62,275	49,825,480	1,830,663	12,186,164	477,682	64,382,264
ცვეთა 2020 წლის 31 დეკემბერი	-	360,988	123,975	-	21,800	506,763
ცვეთის ხარჯი	-	815,736	103,148	-	18,086	936,970
ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბერი	-	1,176,724	227,123	-	39,886	1,443,733
ცვეთის ხარჯი	-	1,308,898	116,786	-	23,645	1,449,329
ჩამოწერა	-	4,217	-	-	-	4,217
რეკლასიფიკაცია	-	(4,860)	-	-	4,860	-
ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერი	-	2,476,545	343,909	-	68,391	2,888,845
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	62,275	19,483,420	1,311,279	27,492,286	103,885	48,453,145
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	62,275	48,505,999	1,448,505	2,884,019	100,796	53,001,594
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	62,275	47,348,935	1,486,754	12,186,164	409,291	61,493,419

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს „საშუალა ჰესი“- ის მშენებლობისთვის გაწეულ ხარჯებს, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მარაგები	მომსახურება ფიზიკური პირებისგან	მომსახურება იურიდიული პირებისგან	საპროცენტო ხარჯი
საშუალა ჰესი	6,219,763	1,686,927	3,651,197	628,277

**შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
(ქართულ ლარში)**

2022 წლის 16 ივნისს ძლიერი წვიმისა და უხვი ნალექის გამო დაიტბორა „საშუალა ჰესი 2“-ის სათავე ნაგებობა და „საშუალა ჰესი 1“-ის ელექტროსადგურის შენობა. მოვლენამ გამოიწვია ქონების ფიზიკური დაზიანება, რაც აისახა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე, კერძოდ, აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურები დროებით გამოტოვებული იყო. შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ არსებული ქონება დაზღვევული ჰქონდა სადაზღვევო კომპანიაში. სადაზღვევო პაკეტი ასევე მოიცავდა ბიზნეს ოპერაციების შეწყვეტის ზარალის დაფარვას.

ამ მოვლენის გამო სადაზღვევო კომპანიამ შესთავაზა დამოუკიდებელი მხარის დაქირავება, რომელმაც შეაფასა ზარალი, რისი დაფარვაც შესაბამისად მოხდა სადაზღვევო კომპანიის მიერ.

როგორც მე-18 შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანიამ სადაზღვევოსგან მიიღო 1,815,105 ლარი. მიყენებული ზარალი დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გაიმიჯნა 2 ნაწილად, კერძოდ: დაზიანებული ძირითადი საშუალებები და შემოსავლის დანაკარგი ჰესების ფუნქციონირების დროებითი შეფერხების გამო, 1,537,928 და 277,176 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

კომპანიამ შეასრულა სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის დაზიანებული ქონების ნაცვლად შეიძინა ახალი აღჭურვილობები. ინფორმაცია დაზღვევის მიერ ანაზღაურებული თანხის, კომპანიის მიერ შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების და ახალი აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	თანხა ლარში
სადაზღვევოს მიერ ჩარიცხული თანხა რეაბილიტაციისთვის (შენიშვნა 18)	1,537,928
ბიზნეს პროცესების შეფერხების ანაზღაურება	277,176
სულ	1,815,104
შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები (შენიშვნა 16)	(200,875)
ახალი ძირითადი საშუალებების შეძენა (შენიშვნა 6)	(45,503)
წმინდა შემოსავალი სადაზღვევო შემთხვევისგან	1,568,726

დაგირავებული/უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე - 12 შენიშვნაში.

7. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება	მიწის იჯარა
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	488,892
დამატება	5,811
ცვეთის ხარჯი	(36,913)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	457,790
დამატება	183,858
ცვეთის ხარჯი	(33,525)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	608,123
საიჯარო ვალდებულება	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	516,477
დამატება	5,811
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	57,072
გადახდა	(86,756)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	492,604
დამატება	183,858
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	61,483
გადახდა	(88,581)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	649,364

კომპანიამ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გააფორმა აღნაგობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების დროებით სარგებლობას „საშუალა ჰესი 1“-ისა და „საშუალა ჰესი 2“-ის აშენების და ექსპლუატაციის მიზნებისთვის. ხელშეკრულების ვადა შეადგენს 49 წელს.

**შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
(ქართულ ლარში)**

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2022	2021
ერთ წლამდე	533	27,085
გადახდები	77,294	81,564
ფინანსური ხარჯი	76,761	54,479
1-5 წლამდე	3,716	3,024
გადახდები	386,470	260,020
ფინანსური ხარჯი	382,754	256,996
5 წლის შემდეგ	645,115	462,495
გადახდები	3,087,638	2,059,208
ფინანსური ხარჯი	2,442,523	1,596,713
წმინდა მიმდინარე ღირებულება	649,364	492,604

იჯარის ხელშეკრულებებში არ არის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. კომპანიამ ზღვრულ სასესხო განაკვეთად გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცხადებული სტატისტიკური ინფორმაცია. დეტალური ინფორმაცია საიჯარო ხელშეკრულებებისა და საპროცენტო განაკვეთების შესახებ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ხელშეკრულების თარიღი	ხელშეკრულების ვადა	ხელშეკრულების საგანი	საპროცენტო განაკვეთი
08.12.2017	49 წელი	მინის ნაკვეთი	11,4 %
20.11.2018	49 წელი	მინის ნაკვეთი	11 %
24.09.2018	49 წელი	მინის ნაკვეთი	10,8 %
24.09.2018	4 წელი	მინის ნაკვეთი	10,8 %
20.11.2018	4 წელი	მინის ნაკვეთი	11 %
17.05.2019	49 წელი	მინის ნაკვეთი	10,6 %
08.11.2021	49 წელი	მინის ნაკვეთი	13 %
21.09.2022	49 წელი	მინის ნაკვეთი	14%

8. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ადგილობრივი მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	-	287,493
უცხოური მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	34,304	363,994
სულ გადახდილი ავანსები	34,304	651,487

9. სავაჭრო და დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	715,562	822,890
სულ სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	715,562	822,890

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკო) მიმართ მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნა დაიფარა 2023 წლის იანვარში და შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა არ შეექმნა საექვო მოთხოვნების რეზერვი მოცემულ საანგარიშგებო პერიოდებში.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	79,462	9,162
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	11,825	624,462
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	91,287	633,624

ფული საბაკო ანგარიშზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებულია მიმდინარე ანგარიშებზე და არ ერიცხება პროცენტი.

11. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლების მიერ შეტანილ ფულად სახსრებს კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოცხადდა და დამფუძნებლებს შორის განაწილდა დივიდენდი 523,623 ლარის ოდენობით.

12. მიღებული სესხები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით პროცენტიანი სესხები შემდეგი სახით იქნა წარმოდგენილი:

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სესხი ადგილობრივი კომერციული ბანკიდან	6.98% - 13.50 %	2022-2030	42,931,200	43,838,507
სესხი თიბისი ლიზინგისგან	12%	2024	253,277	479,290
სესხი დაკავშირებული მხარეებისგან	6.98% - 13.50 %	2022-2030	7,632,690	8,647,920
სულ პროცენტიანი სესხები			50,817,167	52,965,717
მიმდინარე ნაწილი			5,979,258	5,222,373
გრძელვადიანი ნაწილი			50,817,167	52,965,717

შპს „თიბისი ლიზინგისგან“ აღებული სესხის ფარგლებში კომპანიას სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებული აქვს 730,391 ლარის საბალანსო ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები.

სესხების გამოყენება მოხდა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაფინანსების მიზნებისათვის. შესაბამისად, კომპანიამ აღნიშნულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი ჰიდროელექტროსადგურების ღირებულებაზე დააკაპიტალიზირა, რომელიც პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საშუალა-ჰესი 2	-	-
საშუალა-ჰესი 1	-	-
საშუალა-ჰესი	628,277	9,093
სულ საპროცენტო ხარჯი	628,277	9,093

სს „თიბისი ბანკისგან“ აღებულ სესხებზე კომპანიას აქვს შემდეგი ფინანსური კოვენტანტები::

- სესხის მომსახურების კოეფიციენტი არ უნდა შეადგენდეს 1,2-ზე ნაკლებს;
- DEBT/EBITDA კოეფიციენტი - წლების მიხედვით უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 6-ს;

ზემოთ მოცემული კოვენტანტების დარღვევის შემთხვევაში ბანკს შეუძლია სესხის საპროცენტო განაკვეთის 1.5%-ით გაზრდა.

სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული სესხის ხელშეკრულებების მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია არღვევს სესხის მომსახურების კოეფიციენტს თუმცა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სს „თიბისი

**შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
(ქართულ ლარში)**

ბანკს“ არ აუმოქმედებია შესაბამისი სანქციები.

სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული სესხის ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიას აქვს უზრუნველყოფილი შემდეგი აქტივები:

- კომპანიის კუთვნილი და აღნაგობის უფლებით მიღებული მიწის ნაკვეთები წმინდა საბალანსო ღირებულებით 670,398 ლარი (2021: 520,065 ლარი);
- კომპანიის კუთვნილი მთელი არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები (მათ შორის საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ შორის 2015 წლის 31 მარტს გაფორმებული მემორანდუმიდან და საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“ და შპს „ენერგოტრანსს შორის 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები და მოთხოვნის უფლებები გამომდინარე სხვადასხვა ხელშეკრულებებიდან);
- შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ გასაფორმებელი ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ ყველა და ნებისმიერი უფლება;
- კომპანიის მფლობელების: მინდია საბანაძის (პ/ნ 01023002458), მიხეილ გაბისიანის (პ/ნ 01003006276) და დავით ხაჩიძის (პ/ნ 01024024429) კუთვნილი წილები შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ სანქსდებო კაპიტალში;
- კომპანიის საკუთრებაში არსებული „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“ წმინდა საბალანსო ღირებულებით 47,348,935 ლარი (2021: 48,505,999 ლარი);

13. სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
კრედიტორული დავალიანება მომწოდებლების მიმართ	523,491	500,211
სხვა დავალიანება	14,666	6,117
სულ სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	538,157	506,328

14. შემოსავლები

	2022	2021
შემოდგომა-ზამთრის თვეები	5,925,360	5,666,686
გაზაფხული-ზაფხულის თვეები	2,354,074	2,742,406
სხვა რეალიზაცია	237,005	-
სულ შემოსავლები	8,516,439	8,409,092

2020 წლის 30 სექტემბერს და 2021 წლის 9 აგვისტოს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ზამთრის თვეებში ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულებები მოქმედებს კომერციული ოპერირების დაწყების დღიდან 10 წლის განმავლობაში. ზამთრის თვეები მოიცავს: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

გაზაფხული და ზაფხულის თვეებში კომპანიას არ აქვს გაფორმებული გარანტირებული გაყიდვის ხელშეკრულებები შესაბამისად ელექტროენერგიის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
(ქართულ ლარში)

15. თვითღირებულება

	2022	2021
ელექტროენერგიის რეალიზაციის თვითღირებულება	1,787,101	1,319,432
ცვეთის ხარჯი	1,482,854	973,883
ხელფასის ხარჯი	237,024	272,608
რეგულირების ხარჯი	16,558	16,787
ელექტროენერგიის ხარჯი	7,350	12,394
სხვა საოპერაციო ხარჯი	43,315	43,760
სხვა რეალიზაციის თვითღირებულება	222,938	-
გაყიდული ნედლეული და მასალები	222,938	-
სულ თვითღირებულება	2,010,039	1,319,432

16. ადმინისტრაციული ხარჯი

	2022	2021
მომსახურების ხარჯი	512,557	70,560
შრომის ანაზღაურება	379,186	380,631
გადახდილი ავანსის ჩამოწერა	208,371	-
საგადასახადო ხარჯი	124,827	486,646
საიტარო ხარჯი	53,558	24,218
დამღვევის ხარჯი	52,711	33,837
საოფისე ხარჯი	10,327	13,438
სხვა ხარჯი	42,505	20,655
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	1,384,042	1,029,985

17. საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)

	2022	2021
საკუროს სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	7,553,097	3,677,594
მიღებული სესხები	7,553,097	3,677,594
საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი	(111,278)	(86,778)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	(79,476)	(76,542)
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	(29,750)	-
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	(2,052)	(10,236)
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	7,441,819	3,590,816

18. სხვა არასაოპერაციო ხარჯი/(შემოსავალი)

	2022	2021
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,830,432	91,740
ზიანის ანაზღაურება	1,830,432	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	91,740
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(640,251)	(84,934)
კონვერტაციის საკომისიო ხარჯი	(418,356)	(5,182)
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	(132,822)	-
საქველმოქმედო ხარჯი	(86,803)	(77,514)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(2,270)	(2,238)
წმინდა არასაოპერაციო მოგება/ზარალი	1,190,181	6,806

ზიანის ანაზღაურება 1,830,432 ლარის ოდენობით წარმოადგენს სადამღვევო კომპანია ჯიპიი პოლდინგის მიერ მიღებულ თანხას, 2022 წლის 16 ივლისს მომხდარი წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისთვის.

19. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ასახიათებს კანონმდებლობის ხშირი ცვლა, რომელიც ხშირად ექვემდებარება ინტერპრეტაციას. არსებობს განსხვავებული ინტერპრეტაციები სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებში. გადასახადები ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას საგადასახადო ორგანოების მიერ, რომლებსაც კანონით უფლება აქვთ დაანესონ მკაცრი ჯარიმები და სანქციები. ამ ფაქტებმა შესაძლოა საქართველოში შექმნას უფრო მეტი საგადასახადო რისკები, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის წარმოდგენილი. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ფაქტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

20. სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახორციელებს მისი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც ფასდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ სამართლიანი ღირებულებით, დაჯგუფებულია 1-დან 3-მდე დონეებად, იმის მიხედვით, თუ რამდენად შეფასებადია სამართლიანი ღირებულება. ეს დონეებია:

- დონე 1: კოტირებული ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელზეც სუბიექტს შეუძლია წვდომა მოცემულ დღეს.
- დონე 2: ფასები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შედის 1 დონეში, რომლებიც არის განსაზღვრებადი აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა არის შეფასების ტექნიკა და მოიცავს აქტივის ან ვალდებულების შეფასებებს, რომლებიც არ არის დაფუძნებული დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებზე (არადაკვირვებადი მონაცემები).

მენეჯმენტი თვლის, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია შესაბამისი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით მსგავსი ინსტრუმენტებისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. შედეგად, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადი არის დისკონტის განაკვეთი.

ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სავარაუდო რეალური ღირებულებები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე გარდა ფული და ფულის ეკვივალენტებისა რომელიც კლასიფიცირებულია პირველ იერარქიაში.

21. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია საქმიანობის ფარგლებში ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა:

- საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
(ქართულ ლარში)

- სავალუტო რისკი.

კომპანია არ არის აქტიურად ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც წერს ოფციონებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები, რომლებსაც კომპანია ექვემდებარება, აღწერილია ქვემოთ.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	91,287	633,624
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	715,562	822,890
სულ ფინანსური აქტივები	806,849	1,456,514
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	538,157	506,328
საიჯარო ვალდებულება	77,294	492,604
მიღებული სესხები	56,796,425	58,188,090
სულ ფინანსური ვალდებულებები	57,411,876	59,187,022

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი არ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტის ან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. კომპანია ექვემდებარება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს (სავაჭრო მოთხოვნები) და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს (საბანკო ნაშთები).

საკრედიტო რისკი ბანკებში ნაღდი ფულის ნაშთებთან მიმართებაში იმართება საბანკო ნაშთების დივერსიფიკაციის გზით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში კომპანია იყენებს სავაჭრო მოთხოვნების რეგერვის შექმნის გამარტივებულ მიდგომას. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ვადად განსაზღვრულია მომდევნო თვის ბოლო რიცხვი. შესაბამისად, კომპანია ახდენს პერიოდულად სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის მონიტორინგს და რეგერვის შესაქმნელად ითვალისწინებს პერიოდის შემდგომ სავაჭრო მოთხოვნების დაფარვებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანია გრძელვადიანი აქტივების შესაძენად და შესაქმნელად იყენებს მხოლოდ გრძელვადიან სესხებს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ლიკვიდურობის პოზიცია:

	1 წელზე <	1 დან 5 წლამდე	5 წელზე >	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	91,287	-	-	91,287
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	715,562	-	-	715,562
აქტივები	806,849	-	-	806,849
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	538,157	-	-	538,157
საიჯარო ვალდებულება	77,294	-	572,070	649,364
პროცენტიანი სესხები	5,979,258	-	50,817,167	56,796,425
ვალდებულებები	6,594,709	-	51,389,237	57,983,946
ბალანსი, ნეტო	(5,787,860)	-	(51,389,237)	(57,177,097)

**შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
(ქართულ ლარში)**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი:

	1 ნელზე <	1 დან 5 წლამდე	5 ნელზე >	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	633,624	-	-	633,624
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	822,890	-	-	822,890
აქტივები	1,456,514	-	-	1,456,514
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	506,328	-	-	506,328
საიჯარო ვალდებულება	27,086	-	465,518	492,604
პროცენტიანი სესხები	5,222,373	-	52,965,717	58,188,090
ვალდებულებები	5,755,787	-	53,431,235	59,187,022
ბალანსი, ნეტო	(4,299,273)	-	(53,431,235)	(57,730,508)

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო დებიტორული დავალიანება. კომპანიის უარყოფითი ლიკვიდურობის პოზიცია გრძელვადიან პერიოდში გამოწვეულია გრძელვადიანი სესხით. 2021 წლიდან კომპანია მომგებიანია და ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მომავალი წლებიც მომგებიანი იქნება. შესაბამისად, კომპანიას შეუძლია დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს მოიცავს პროცენტიან სესხებს და ფულადი სახსრების ნაშთს ბანკში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფინანსური აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე ნაჩვენებია მათი მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს:

	დოლარი	
ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9,870	465,303
ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიღებული სესხები	31,209,092	47,644,874
წმინდა პოზიცია	(31,199,222)	(47,179,571)

	ევრო	
ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,955	159,159
ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
პროცენტიანი სესხები	16,005,392	7,394,878
წმინდა პოზიცია	(16,003,437)	(7,235,718)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(6,239,844)	(9,435,914)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	6,239,844	9,435,914
ევროს ვალუტის 10%-ით გამყარება	(3,200,687)	(1,447,144)
ევროს ვალუტის 10%-ით გაუფასურება	3,200,687	1,447,144

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას აქვს სესხები უცხოურ ვალუტაში, როგორც ფიქსირებული, ასევე ცვლადი განაკვეთებით, შესაბამისად, ზემოთ აღწერილი უცხოური ვალუტის რისკის გარდა, კომპანია ასევე ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს. ფიქსირებული პროცენტი ერიცხება მხოლოდ დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებს. საპროცენტო განაკვეთის რისკს მენეჯმენტი მართავს ფიქსირებულ განაკვეთიანი სესხების წილის გაზრდით და სხვა ტიპის დაფინანსების მოძიებით.

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ 1% არის საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური შესაძლო ცვლილება. შესაბამისად, ჩატარდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მგრძნობელობის ანალიზი 1%-ით, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ცვლადი საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2022	განაკვეთი	ვალუტა
სს თიბისი ბანკი #1	22,638,504	7.30%	აშშ დოლარი
სს თიბისი ბანკი #2	5,361,731	8.15%	ევრო
სს თიბისი ბანკი #3	194,544	8.30%	აშშ დოლარი
სს თიბისი ბანკი #4	9,145,627	6.98%	აშშ დოლარი
სს თიბისი ბანკი #5	6,271,539	7.98%	აშშ დოლარი
სს თიბისი ბანკი #6	1,018,462	7.50%	აშშ დოლარი
სს თიბისი ლიზინგი	253,277	12.00%	ევრო

ცვლადი საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2021	განაკვეთი	ვალუტა
სს თიბისი ბანკი #1	26,891,070	7.30%	აშშ დოლარი
სს თიბისი ბანკი #2	6,835,620	8.15%	ევრო
სს თიბისი ბანკი #3	6,173,741	8.30%	აშშ დოლარი
სს თიბისი ბანკი #4	1,541,610	6.98%	აშშ დოლარი
სს თიბისი ბანკი #5	3,041,283	7.98%	აშშ დოლარი
სს თიბისი ბანკი #6	1,486,848	7.50%	აშშ დოლარი
სს თიბისი ლიზინგი	479,290	12.00%	ევრო

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1%-ით გაზრდა	897,674	928,989
1%-ით შემცირება	(897,674)	(928,989)

22. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით (ასევე ცნობილი როგორც დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც

ძირითადად ცვლის დაბეგვრის მომენტს დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან იმ მომენტამდე, როდესაც ხდება მისი განაწილება. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ანგარიშგების თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კანონის მოქმედების შემდეგ არ იქნება აღიარებული.

23. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმხორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმხორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

**შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
(ქართულ ლარში)**

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები:	2022	2021
სხვა დაკავშირებულ მხარეებთან:		
საპროცენტო ხარჯი	760,153	1,736,485
ნაშთები:	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სხვა დაკავშირებულ მხარეებთან:		
მიღებული სესხი	10,721,930	11,218,091
	2022	2021
მენეჯმენტისა და მმართველი რგოლის ანაზღაურება	111,704	260,148

24. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ამ ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება ასახულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში, არ მომხდარა.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

(ს/კ 404485188)

მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა	2
2. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ	2
3. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები	2
4. კომპანიის მიერ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა	3
5. გარემოსდაცვითი საკითხები	3
6. მთავარი რისკები და გაურკვევლობები.....	3-6

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2015 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით (404485188). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 70, ბიზნეს ცენტრი "სითი თაუერი" 17 სართული. კომპანიას ფილიალი არ გააჩნია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს პოტენციური ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მოძიება, პროექტირება, მშენებლობა, ექსპლუატაცია, ელექტროენერგიის წარმოება, რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე და მის ექსპორტი ქვეყნის გარეთ. 2015 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანი იყო ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რის შემდეგაც 2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე კომპანიამ მოიპოვა ჰიდროელექტროსადგურების, „საშულა ჰესი 1“ და „საშულა ჰესი 2“-ის, მშენებლობის უფლება, რის შედეგად განხორციელდა საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად 49 წლიანი აღნაგობის უფლებით კომპანიას გადაეცა პროექტის განვითარებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთები. აღნიშნული აღნაგობის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობა არის ის, რომ 49 წლის შემდეგ მიწა და მასზე არსებული ნებისმიერი ნაგებობა უბრუნდება სახელმწიფოს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურები შევიდა ექსპლუატაციაში

2019 წლის 17 ივნისს საქართველოს მთავრობასთან დამატებით გაფორმდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც კომპანიამ მოიპოვა მესამე ჰიდროელექტროსადგურის, „საშულა ჰესი“-ის მშენებლობის უფლება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს „საშულა ჰესი“ არის მშენებლობის დასრულების პროცესში.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით საკუთარი აქციები არ გამოუშვია.

კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივები მდებარეობს საქართველოში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

კომპანიაში 2022 წელს დასაქმებული იყო 13 თანამშრომელი.

2. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს.

3. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმები მოიცავს წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაციას საქართველოს ბაზარზე და მის ფარგლებს გარეთ. „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ უკვე გააჩნია ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანის გამოცდილება.

4. კომპანიის მიერ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა

პროექტის განვითარების საწყის ეტაპზე, კომპანიის მიერ დაქირავებული იქნა სხვადასხვა საპროექტო, კვლევითი ორგანიზაციები, შესწავლილ იქნა პროექტის/ჰიდროელექტროსადგურების განთავსების ტერიტორიის სეისმური, გეოლოგიური, გეოტექნიკური მდგომარეობა, მოძიებული იქნა ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური მონაცემები, მომზადდა შესაბამისი რეპორტები. მომზადდა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანგარიში, დეტალური დიზანი, რომელის მომზადებისთვისაც გამოყენებულ იქნა საუკეთესო საინჟინრო პრაქტიკის საფუძვლები. შესწავლილ იქნა საკვლევი ტერიტორიის ფლორა, ფაუნა და სოციალური საკითხები, განისაზღვრა პროექტის გავრცელების არეალში გარემოზე შესაძლო ზიანის შემარბილებელი ღონისძიებები, მიღებული შედეგებით ნათლად ჩანს პროექტი წარმოადგენს დღეს ერთ-ერთი საუკეთესო ენერგეტიკული ობიექტს საინჟინრო პრაქტიკის საუკეთესო გამოვლინებას, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ფაქტორების სრულად გათვალისწინებით.

5. გარემოსდაცვითი საკითხები

შპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია საამშენებლო და საექსპლუატაცია პროცესის დროს მოქმედებს საქართველოში გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად, გარემოსდაცვითი კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, მუდმივად მიმდინარეობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი პროცედურების დაცვას, მოთხოვნილი პერიოდული კვლევების შედეგების შესახებ სამინისტროსთვის წარდგენას.

6. მთავარი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია არ არის აქტიურად ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც წერს ოფციონებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები, რომლებსაც კომპანია ექვემდებარება, აღწერილია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს მოიცავს პროცენტიან სესხებს და ფულადი სახსრების ნაშთს ბანკში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას აქვს სესხები უცხოურ ვალუტაში, როგორც ფიქსირებული, ასევე ცვლადი განაკვეთებით, შესაბამისად, ზემოთ აღწერილი უცხოური ვალუტის რისკის გარდა, კომპანია ასევე ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს. ფიქსირებული პროცენტი ერიცხება მხოლოდ დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებს. საპროცენტო განაკვეთის რისკს მენეჯმენტი მართავს ფიქსირებულ განაკვეთიანი სესხების წილის გაზრდით და სხვა ტიპის დაფინანსების მოძიებით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი არ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტის ან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. კომპანია ექვემდებარება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს (სავაჭრო მოთხოვნები) და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს (საბანკო ნაშთები).

საკრედიტო რისკი ბანკებში ნაღდი ფულის ნაშთებთან მიმართებაში იმართება საბანკო ნაშთების დივერსიფიკაციის გზით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში კომპანია იყენებს საექვო მოთხოვნების რეზერვის შექმნის გამარტივებულ მიდგომას. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ვადად განსაზღვრულია მომდევნო თვის ბოლო რიცხვი. შესაბამისად, კომპანია ახდენს პერიოდულად სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის მონიტორინგს და რეზერვის შესაქმნელად ითვალისწინებს პერიოდის შემდგომ სავაჭრო მოთხოვნების დაფარვებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანია გრძელვადიანი აქტივების შესამენად და შესაქმნელად იყენებს მხოლოდ გრძელვადიან სესხებს.

7. კომპანიის მმართველობითი ორგანოები

საზოგადოების ორგანოებია: საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო (ქვეკომიტეტი - აუდიტის კომიტეტი), ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორი.

დირექტორი

დირექტორს გააჩნია საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებას ერთპიროვნულად. დირექტორი უფლებამოსილია იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების

ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას. დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

საერთო კრება

საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: წლიური ბიუჯეტის დამტკიცება, ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია, ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, ვალდებულებათა აღება, მათ შორის სასესხო ვალდებულების აღება, კრედიტის აღება/გაცემა, ვალდებულებათა უზრუნველყოფა, ორგანიზაციის აქტივების გასხვისება/უფლებრივად დატვირთვა/დაგირავება, დივიდენდის განაწილება. იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის/გაუქმების, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის/გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას და მათ მიერ გაწეული საქმიანობის ანაზღაურების მიზნით წლიური ფონდის მოცულობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო მისი შემადგენლობიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 4 (ოთხი) წევრით და მათი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 5 (ხუთი) წლით.

საერთო კრება უფლებამოსილია განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსხვავებული რაოდენობა, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს კონკრეტულ წევრებთან დაკავშირებით გადაწყვიტოს უფლებამოსილების განსხვავებული ვადა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება დაინიშნოს ხელახლა, იმავე თანამდებობაზე შეზღუდვების გარეშე. სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი ფუნქციებია: რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების დამტკიცება და მათი ეფექტური ფუნქციონირების ზედამხედველობა, ორგანიზაციის სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა, ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის განსაზღვრა, ფინანსური დაგეგმარების და ანგარიშგების საერთო სტანდარტების დამტკიცება, საზოგადოების საბუღალტრო საქმიანობის შემოწმება, საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის, ასევე ქონებრივი ობიექტების, კერძოდ საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის კონტროლი და შემოწმება, სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული წევრების ან განსაზღვრული ექსპერტების მეშვეობით. აუდიტის კომიტეტის შექმნის/გაუქმების, ასევე აუდიტის კომიტეტის წევრების/თავმჯდომარის დანიშვნის/გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, აუდიტის კომიტეტის წევრთა

რაოდენობის განსაზღვრა, აუდიტის კომიტეტისთვის შესაბამისი დავალებების მიცემა და მისი საქმიანობის კონტროლი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი: მინდია საბანაძე (01023002458)
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი: დავით ხაჩიძე (01024024429)
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი: გიგა მეყანწიშვილი (01019067235)
4. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი: გიორგი მთიბელაშვილი (01017013930)

აუდიტის კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭოში 2 (ორი) წევრის შემადგენლობით იქმნება ქვეკომიტეტი – აუდიტის კომიტეტი, რომელმაც უნდა გააკონტროლოს საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტთან ურთიერთობა. აუდიტის კომიტეტი უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან. აუდიტის კომიტეტს უნდა უხელმძღვანელოს და მისი თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც „დამოუკიდებელი წევრია“. აუდიტის კომიტეტის წევრი უნდა იყოს საწარმოს საქმიანობის სფეროში კომპეტენტური პირი. აუდიტის კომიტეტის სულ მცირე 1 წევრი უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში ან/და აუდიტის სფეროში კომპეტენტური პირი. აუდიტის კომიტეტის წევრების რაოდენობის ცვლილება შესაძლოა განხორციელდეს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. აუდიტის კომიტეტის მნიშვნელოვანი ფუნქციებია: განსაზღვროს შიდა აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და კონტროლის შესაბამისი წესები და განახორციელოს მათი დაცვის ზედამხედველობა, გააკონტროლოს საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა; უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობა. წარმართოს გარე აუდიტთან ურთიერთობა.

აუდიტის კომიტეტის წევრები:

1. თავმჯდომარე: გიორგი მთიბელაშვილი (01017013930)
2. წევრი: გიგა მეყანწიშვილი (01019067235)

2023 წლის 10 აპრილი

გიორგი შუკაკიძე

დირექტორი

რაოდენობის განსაზღვრა, აუდიტის კომიტეტისთვის შესაბამისი დავალებების მიცემა და მისი საქმიანობის კონტროლი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი: მინდია საბანაძე (01023002458)
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი: დავით ხაჩიძე (01024024429)
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი: გიგა მეყანწიშვილი (01019067235)
4. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი: გიორგი მთიბელაშვილი (01017013930)

აუდიტის კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭოში 2 (ორი) წევრის შემადგენლობით იქმნება ქვეკომიტეტი – აუდიტის კომიტეტი, რომელმაც უნდა გააკონტროლოს საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტთან ურთიერთობა. აუდიტის კომიტეტი უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან. აუდიტის კომიტეტს უნდა უხელმძღვანელოს და მისი თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც „დამოუკიდებელი წევრია“. აუდიტის კომიტეტის წევრი უნდა იყოს საწარმოს საქმიანობის სფეროში კომპეტენტური პირი. აუდიტის კომიტეტის სულ მცირე 1 წევრი უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში ან/და აუდიტის სფეროში კომპეტენტური პირი. აუდიტის კომიტეტის წევრების რაოდენობის ცვლილება შესაძლოა განხორციელდეს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. აუდიტის კომიტეტის მნიშვნელოვანი ფუნქციებია: განსაზღვროს შიდა აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და კონტროლის შესაბამისი წესები და განახორციელოს მათი დაცვის ზედამხედველობა, გააკონტროლოს საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა; უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობა. წარმართოს გარე აუდიტთან ურთიერთობა.

აუდიტის კომიტეტის წევრები:

1. თავმჯდომარე: გიორგი მთიბელაშვილი (01017013930)
2. წევრი: გიგა მეყანწიშვილი (01019067235)

2023 წლის 10 აპრილი



გიორგი მთიბელაშვილი
დირექტორი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წილით საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სხვა გარემოებები - მმართველობითი ანგარიშგების გამოცემის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კომპანიის მიერ მმართველობითი ანგარიშგება გამოიცა 2023 წლის 10 აპრილს, აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, რომელიც მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ როგორც აუდიტორებმა, ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაციით. რაც შეეხება მმართველობით ანგარიშგებას 10 აპრილს აუდიტორს არ გამოუთქვამს მასზე რაიმე სახის მოსაზრება.

შემდგომში კომპანიის მენეჯმენტის მოთხოვნის საფუძველზე ცალკე მოსაზრება გამოვეცით 2023 წლის 10 აპრილს გამოცემულ მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენი მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე თარიღდება 2023 წლის 18 აგვისტოთი, რომელიც არ მოიცავს 2023 წლის 10 აპრილიდან 18 აგვისტომდე განვითარებულ მოვლენებსა და მის გავლენას მმართველობით ანგარიშგებაზე.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

18 აგვისტო 2023

RSM Georgia

ს. ჩუბინიძე

24/05/2023

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურს

და

საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის

ზედამხედველობის დეპარტამენტს

მოგესალმებით,

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-7 მუხლის 1-ლი და მე-12 პუნქტების, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომლის წარდგენაც სამსახურისთვის ევალებათ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. აღნიშნული სუბიექტები ვალდებული არიან ასევე, მოამზადონ და კანონით დადგენილ ვადაში სამსახურს წარუდგინონ მმართველობის (მათ შორის კონსოლიდირებული) ანგარიშგება.

მშობელი საწარმო, რომელიც კანონის თანახმად ვალდებულია წარადგინოს აუდირებული ინდივიდუალური და აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ინდივიდუალური და კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება, უფლებამოსილია წარადგინოს მხოლოდ ერთი აუდირებული ფინანსური და შესაბამისი მმართველობითი ანგარიშგება, თუ მისი ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ და ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

მოგეხსენებათ, რომ ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სარეკომენდაციო მითითების გათვალისწინებით, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია saras.gov.ge-ს პორტალზე ინდივიდუალურ ფორმატში.

2022 წლის საანგარიშო პერიოდში, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ ფლობდა 55%-იანი წილით შპს „ენერჯი თრეიდინგ გრუპს“ (შემდგომში „შვილობილი კომპანია“) (ს/კ 405558524), რომლის ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიით ვაჭრობა. დაარსების

დღიდან საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე „ენერჯი თრეიდინგ გრუპს“ არ განუხორციელებია ეკონომიკური საქმიანობა.

ვინაიდან კომპანიის შვილობილი საწარმო არაარსებითია, კომპანია წარადგენს მხოლოდ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

დირექტორი

გიორგი შუკაკიძე



სტრუქტურული მართვა
თავმჯდომარე გიორგი შუკაკიძე

24/05/2023

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურს და

საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის

ზედამხედველობის დეპარტამენტს

მოგესალმებით,

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-7 მუხლის 1-ლი და მე-12 პუნქტების, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სპდ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომლის წარდგენაც სამსახურისთვის ევალებათ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. აღნიშნული სუბიექტები ვალდებული არიან ასევე, მოამზადონ და კანონით დადგენილ ვადაში სამსახურს წარუდგინონ მმართველობის (მათ შორის კონსოლიდირებული) ანგარიშგება.

მშობელი საწარმო, რომლიც კანონის თანახმად ვალდებულია წარადგინოს აუდიტირებული ინდივიდუალური და აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ინდივიდუალური და კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება, უფლებამოსილია წარადგინოს მხოლოდ ერთი აუდიტირებული ფინანსური და შესაბამისი მმართველებითი ანგარიშგება, თუ მისი ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ და ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

მოგეხსენებათ, რომ ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სარეკომენდაციო მითითების გათვალისწინებით, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია [saras.gov.-ge](https://saras.gov.ge)-ს პორტალზე ინდივიდუალურ ფორმატში.

2022 წლის საანგარიშო პერიოდში, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ ფლობდა 55%-იანი წილით შპს „ენერჯი თრეიდინგ გრუპს“ (შემდგომში „შვილობილი კომპანია“) (ს/კ 405558524), რომლის ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიით ვაჭრობა. დაარსების დღიდან საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე „ენერჯი თრეიდინგ გრუპს“ არ განუხორციელებია ეკონომიკური საქმიანობა.

ვინაიდან კომპანიის შვილობილი საწარმო არაარსებითია, კომპანია წარადგენს მხოლოდ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

D1/44-23

24 მაისი, 2023

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

არესემ საქართველო არის RSM International-ის, რეიტინგით რიგით მე-6 ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი აუდიტორული, საგადასახადო და საკონსულტაციო ქსელის, დამოუკიდებელი წევრი. RSM-ის ქსელს 123 ქვეყანაში ჰყავს წარმომადგენლობა, მათ შორის წარმოდგენილია მსოფლიოს 40 ყველაზე მსხვილ ბიზნეს ცენტრში. ჩვენს 860 ოფისში, რომლებიც განთავსებულია ამერიკაში, ევროპაში, აფრიკასა და აზიაში, დასაქმებულია 51 000-ზე მეტი პროფესიონალი.

აღნიშნული წერილით ვადასტურებ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია თანხვედრაშია ჩვენ მიერ შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას მოპოვებულ ინფორმაციასთან.



შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი

პაატა ჩუბინიძე

თბილისი, საქართველო

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors

European
Business
Awards™

N 01-270723

2023 წლის 27 ივლისი

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“


პასუხისმგებელი პირების განცხადება

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.3(გ) მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ 2023 წლის 22 ივნისს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404485188, შემდეგში „ემიტენტი“) მიერ 10 (ათი) მილიონი აშშ დოლარის ოდენობის არაუზრუნველყოფილი არასუბორდინირებული ობლიგაციების (საერთაშორისო ნომერი, ISIN, GE 2700604459) საჯარო ემისიასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ არსებული ვალდებულებების ფარგლებში მომზადებული აუდირებული წლიური ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

გიორგი შუკაკიძე

შპს „ენერჯი დეველოპმენტ
ჯორჯიას“

დირექტორი



მინდია საბანაძე

შპს „ენერჯი დეველოპმენტ
ჯორჯიას“

სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე

